

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ზ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„01“ „08“ 2014 წელი

ეგზ. № 1

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აქ 17/00

2014 წელი

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ზოგადი მიმოხილვა	4
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი	5
<i>ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები</i>	<i>5</i>
<i>ინვენტარიზაცია</i>	<i>7</i>
უარი მოსაზრების გამოთქმაზე	8
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	8
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	8

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თვითმმართველი ქალაქის - ფოთის 2012 და 2013 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მიხედვით უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ანგარიშებს:

- ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1;
- ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით – ბალანსის დანართი ფორმა №2;
- არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-1;
- ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-2;
- წმინდა ღირებულების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №3;
- სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4;
- ფულადი გრანტების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №4-1;
- არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5;
- ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №5-1;
- ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ქ. ფოთის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცული იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნები რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტის მიმდინარეობისას ტარდება პროცედურები აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ზოგადი მიმოხილვა

თვითმმართველი ქალაქი ფოთი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის,

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ქალაქ ფოთის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერია ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364¹ ბრძანების შესაბამისად მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც აისახება ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც დადგენილ ვადებში უნდა წარუდგინოს ადგილობრივ საფინანსო ორგანოს.

¹საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“..

აუდიტის ჯგუფს არ მიეცა საშუალება გაცნობოდა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ფოთის მერიაში ყოველწლიურად არ ადგენენ აღნიშნულ დოკუმენტს. შედეგად ორგანიზაციაში არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების, ვალდებულებების, კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების აღრიცხვა, აგრეთვე არ ხორციელდება არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის აღრიცხვა და მასზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №615² ბრძანების შესაბამისად ცვეთის დარიცხვა.

ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვის მიზნით, თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავ ე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშთა გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის, რაც ფოთის მერიაში არ განხორციელებულა, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა ინფორმაცია შესრულებული სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ფოთის მერია არ ახორციელებს საკუთარი საქმიანობის ფინანსურ აღრიცხვას, არსებობს მაღალი რისკი, რომ მერიის ზემდგომ ორგანოს და ფინანსური ანგარიშგების სხვა შიდა და გარე მომხმარებლებს, არ წარედგინება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია მერიის ფინანსური მდგომარეობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ. აღნიშნული ქმნის იმის საფუძველს, რომ მერიის მიერ არ ხორციელდება:

- საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე;

²საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №615 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

- კონტროლი ეკონომიკურ მოვლენაზე დროულად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებაზე;
- ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით;
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა და კონტროლი გაცემაზე;
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა;
- დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;
- ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა და არქივში ჩაბარება.

ინვენტარიზაცია

თვითმმართველ ქალაქ ფოთში 2012 და 2013 წლებში არ ჩატარებულა მუნიციპალიტეტის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია ის გარემოება, რომ მერიის საკუთრებაში არსებული ქონების დიდი ნაწილი არ არის შეფასებული შესაბამისი ღირებულებით, რის გამოც ვერ ხერხდება ინვენტარიზაციის ჩატარება და აქტივების სრულყოფილი აღრიცხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ მერია არ ახორციელებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მერიის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

თათია ამბროლაძე

თ. ამბროლაძე

ხელმოწერა

31.07.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე

შ. ბუცხ

ხელმოწერა

31.07.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თამარ კუხიანიძე

თ. კუხიანიძე

ხელმოწერა

31.07.2014 თარიღი